ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

14-19 აგვისტო, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

არასამთავრობო ორგანიზაცია Green Without Borders-ის სანქცირების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა ლიბანური, არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია, Green Without Borders ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობის ხელშეწყობაში დამნაშავედ ცნო და ტერორიზმის დამფინანსებელი ერთეულის სტატუსი მიანიჭა. დეპარტამენტის განმარტებით, ორგანიზაცია, ლიბანის ბიომრავალფეროვნების დაცვის საბაბით, აქტიურად რგავდა ხეებს, ხეებს ქვეყნის საზღვართან ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლას“ სამხედრო ობიექტების დასაფარად.

16.08.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია კირკუკში

ერაყის უსაფრთხოების მედია ბლოკმა დაადასტურა ინფორმაცია გასულ კვირას F-16 ავიაგამანადგურებლის დახმარებით კირკუკში განხორციელებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში, ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) სამხედრო ობიექტების განადგურების შესახებ. საგულისხმოა, რომ ანტიტერორისტული სპეცოპერაცია, ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ახალი ლიდერის, აბუ ჰაფს ალ-ჰაშიმი ალ-ყურაიშის დანიშვნიდან რამდენიმე დღეში განხორციელდა.

16.08.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია რაქქაში

ქურთებით დაკომპლექტებულმა სირიის დემოკრატიული ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაადასტურა ინფორმაცია გასულ კვირას რაქქაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დაეშის მაღალი რანგის წარმომადგენლის, იბრაჰიმ ალ-ალის (ასევე ცნობილი, როგორც „აბუ მუჯაჰიდი“) ლიკვიდაციის შესახებ.

17.08.2023

ფარის ტოტას სასამართლო საქმის შესახებ

გასულ კვირას იერუსალიმის საუბნო სასამართლომ, პალესტინელი მამაკაცი, ფარის ტოტა დამნაშავედ ცნო ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასისთვის“ ფინანსური დახმარების გაწევაში. ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა ბოლო ათი წლის განმავლობაში აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, არაპირდაპირი გზით 4 მილიონი შეკელი (1 054 004$ ამერიკული დოლარი) მიაწოდა.

15.08.2023

კონფლიქტი ტერორისტული ორგანიზაცია „ბოკო ჰარამის“ რიგებში

ქალაქ ბაგას (ნიგერია) სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების განმარტებით, ტერორისტული ორგანიზაცია „ბოკო ჰარამის“ რიგებში მიმდინარე ტომობრივი კონფლიქტის შედეგად, გასულ კვირას ორგანიზაციის 82 მებრძოლი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, ესკალაცია ბოკო ჰარამის მიერ ბუდუმას ტომის წარმომადგენლების დახოცვას მოყვა.

17.08.2023

ტერორისტული თავდასხმა ნიამეისთან

15 აგვისტოს, ნიგერის დედაქალაქ ნიამეისთან შეიარაღებული ძალების (FAN) კოლონაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ მცირე 17 და მძიმედ დაშავდა 6 ჯარისკაცი. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არც ერთ ტერორისტულ თავდასხმას არ აუღია.

15.08.2023